

## **Excel-ის 100 ამოცანა დამწყებთათვის**

### **პროექტის ხელმძღვანელი გიორგი დათუკიშვილი, CST, პროფესორი**

წიგნი შედგება Excel-ის 90 მარტივი და 10 კომპლექსური ამოცანისგან, რომლებსაც თან ახლავთ ვიდეო გაკვეთილის და ვიდეო ამოხსნის შესაბამისი QR კოდი, რომლის დასკანირების შედეგადაც წიგნის მომხმარებელი ეუფლება კონკრეტული ამოცანის ამოხსნისთვის საჭირო უნარებს.

### **ქვეყნის სიმდიდრე, ფინანსური აღრიცხვის ინფრასტრუქტურა და ფინანსური ინფორმაციის ხარისხი: საერთაშორისო ანალიზი**

#### **პროექტის ხელმძღვანელი ერეკლე პირველი, CSB, ასოცირებული პროფესორი**

წინამდებარე კვლევითი პროექტის მიზანია ნათელი მოჰფინოს თუ რატომ აქვეყნებენ მდიდარი ეკონომიკის მქონე ქვეყნები უკეთეს მენეჯერულ, მაგრამ ექვივალენტურად გამოსადეგ ფინანსურ ინფორმაციას ღარიბ ქვეყნებთან შედარებით. წინარე ლიტერატურის თანახმად, ქვეყნის სიმდიდრე უნდა ასოცირდებოდეს ფინანსური აღრიცხვის უკეთეს ინფრასტრუქტურასთან, რაც, თავის მხრივ, ფინანსური ინფორმაციის უკეთეს ხარისხში უნდა აისახებოდეს. ამ ინტუიციაზე დაყრდნობილ თეორიულ მოსაზრებასთან ნაწილობივ შეუსაბამოდ, Pirveli and Zimmermann (forthcoming)-ის კვლევა, 40 ქვეყნის კაპიტალის ბაზრის მასშტაბით ემპირიულად წარმოაჩენს, რომ მდიდარი ქვეყნები აქვეყნებენ უფრო კონტროლზე-ორიენტირებულ (მენეჯერულ) და დაახლოებით იმავე დონის შეფასებაზე-ორიენტირებულ (ფინანსურ) საბუღალტრო ინფორმაციას ვიდრე ღარიბი ქვეყნები. აღნიშნული მიგნების მიზეზების დასადგენად, წინამდებარე კვლევითი პროექტის მიზანია ფინანსური ანგარიშგების ინფრასტრუქტურის ინდექსის შემუშავება, რომელიც დაფარავს საბუღალტრო, ფინანსურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ სისტემებს. ფინანსური ანგარიშგების ინფრასტრუქტურის ინდექსის ჩამოყალიბება დაგვეხმარება იმის გაგებაში თუ სად წყდება კავშირი ქვეყნის სიმდიდრესა და ფინანსური ინფორმაციის ხარისხს შორის. ეს გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნის სიმდიდრე არ უზრუნველყოფს ფინანსური აღრიცხვისათვის საჭირო უკეთეს ინფრასტრუქტურას, თუ ეს კავშირი არსებობს, მაგრამ თავად ინფრასტრუქტურა ვერ განაპირობებს ფინანსური ინფორმაციის უკეთეს ხარისხს? შედეგები საინტერესო უნდა იყოს როგორც მეცნიერებისა და ინვესტორებისათვის, ასევე პოლიტიკისა და სტანდარტების გამტარებელთათვისაც.

**ფსიქიკური დარღვევების (ADHD) კომპლექსური კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებითა და კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობით**

**პროექტის ხელმძღვანელი ირმა ხაჩიძე, CSH, პროფესორი**

პროექტის მიზანია ADHD-ს კომპლექსური კვლევა თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ფსიქოლოგიური ტესტების/სავარჯიშოების გამოყენებით, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობითა, და ადგილობრივი და საერთაშორისო მეცნიერების მხარდაჭერით. აღნიშნული შიდა საუნივერსიტეტო პროექტი არის ორი მიმდინარე საერთაშორისო სამეცნიერო პროექტის ნაწილი. იგეგმება უცხოური პროექტების ფარგალში არსებული მატერიალური და ადამიანური რესურსების გამოყენება და შვედი და უკრაინელი კოლაბორანტების ჩართვა. დამატებით კონსულტანტების სახით ჩაერთვებიან წამყვანი მეცნიერები/ლექტორები კანადიდან და იაპონიიდან. ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური რესურსი კვლევას განსაკუთრებულ ინტერესს და აქტუალობას შესძენს და გაზრდის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების საერთაშორისო კვლევითი პროდუქტიულობას.

**ურთიერთკავშირის დადგენა საბანკო სექტორის ზრდასა და საქართველოს ეკონომიკურ ზრდას შორის (საერთაშორისო გამოცდილებისა და კვლევის საფუძველზე)**

**პროექტის ხელმძღვანელი დავით ასლანიშვილი, CSB, ასოცირებული პროფესორი**

საქართველოს ეკონომიკის მთავარი პრობლემაა მასშტაბური დისპროპორცია საბანკო სექტორის წარმატებულ საქმიანობასა და ეკონომიკის რეალური სექტორის ხშირად წარუმატებელ განვითარებას შორის. კვლევაში დიდი ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას კრედიტებზე. ასევე, კვლევით შემოწმდება კორელაცია კრედიტებსა და მშპ-ს შორის. კვლევის შედეგად დადგინდება დადებითი ან უარყოფითი კორელაციური ურთიერთკავშირები ფინანსურ განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას შორის.

**ინფლაციური პროცესების რეგულირება საქართველოში**

**პროექტის პერსონალი ლაშა ქავთარაძე, ნოდარ კილაძე, CDS**

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ინფლაციის გამომწვევი მიზეზების დადგენას და იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზს, რომლებიც ეკონომიკური თეორიის მიხედვით გავლენას ახდენენ ფასების დონის ცვლილებაზე, რის საფუძველზეც მოხდება შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ინფლაცია, თავისი უარყოფითი შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. როგორც მაღალი, ასევე ნულოვანი, ან ნულთან მიახლოებული ინფლაცია, დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის ხარჯებთან საზოგადოებისათვის, რაც საბოლოო ჯამში წარმოშობს კეთილდღეობის დანაკარგებს. რეალურ ეკონომიკაში ფასების დონის ცვლილება საკმაოდ დინამიური პროცესია და რთულია

ინფლაციის გამომწვევი კონკრეტული მიზეზისა თუ ფაქტორის გამოყოფა. ფასების სტაბილურობა არის ფუნდამენტურ ფაქტორი, რომელიც აუცილებელია მაღალი და სტაბილური ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. შესაბამისად, ინფლაციური პროცესების რეგულირება საკმაოდ მნიშვნელოვანია. აღნიშნული საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა მაღალია, რადგანაც, ინფლაციური პროცესების კვლევების დახმარებით შესაძლებელია სანდო პროგნოზების აგება საქართველოს ეკონომიკის თავისებურებებიდან გამომდინარე შერჩეული ფაქტორების დახმარებით, შემდგომ კი მათი ეფექტური გამოყენება მონეტარული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.